ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი
№1-2, იანვარ-თებერვალი 2020

უნივერსიტეტის მისია

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს ერთ-ერთი ლიდერი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომლის მისიაა მოამზადოს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნება, ჩამოყალიბდეს ძლიერ საგანმანათლებლო-კვლევით ცენტრად და მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავოს ეროვნულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში.

უნივერსიტეტი ახორციელებს პროფესიულ და აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს, ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევებს, რომელთა მიზანია ჩვენი ქვეყნის მდგრადი განვითარება, მოსახლეობის სოციალური კეთილდღეობა, ეკოლო-გიური უსაფრთხოება და ეკონომიკური ძლიერება, ასევე ლიბერალური ღირებულებებისა და დემო-კრატიული პრინციპების დამკვიდრება.

უნივერსიტეტი აცნობიერებს თავის განსაკუთრებულ მნიშვნელობას რეგიონის განვითარებაში და პრიორიტეტად მიაჩნია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურის კვლევები, შავი ზღვის ბიოლოგიისა და ეკოლოგიის შესწავლა, ფიტოპათოლოგიური კვლევები, ასევე აგრარული მიმართ-ულებისა და ტურიზმის განვითარება.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ევროპული უნივერსიტეტების დიდი ქარტიის ფუნდამენტური პრინციპების ერთგულია, მისი უმთავრესი ღირებულებებია: ჰუმანიზმი, ღიაობა, ანგარიშვალდებულება, პიროვნული პოტენციალის სრულყოფილი რეალიზებისთვის ხელშეწყობა, ინტერდისციპლინური და ინტერკულტურული სამეცნიერო კვლევების, სწავლებისა და მართვის პროცესის დინამიკური განვითარება.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი აერთიანებს 7 ფაკულტეტს: ეკონომიკისა და ბიზნესის, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების, იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის, ტექნოლოგიურ, ტურიზმისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტებს. დღეისათვის, უნივერსიტეტში უმაღლესი პროფესიული, ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე 6000-მდე სტუდენტი სწავლობს.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალი, ტრადიციები და ადგილმდებარეობა განსაზღვრავს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პრიორიტეტებს. უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი წარმატებით მუშაობს საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარულ, სოციალურ, სამართალმცოდნეობის, მათემატიკური და კომპიუტერული მეცნიერებების, საინჟინრო, ტექნოლოგიური, ბიზნესის, ჯანდაცვის მიმართულებებსა და სოფლის მეურნეობის დარგებში.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მრავალფუნქციური საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებაა, სადაც სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლებისა და მკვლევრების თანამშრომლობით იქმნება აკადემიური და პროფესიული განათლებისა და კვლევის ერთიანი სივრცე. უნივერსიტეტის ბაზაზე განხორციელდა არაერთი საერთაშორისო და ეროვნული მნიშვნელობის სამეცნიერო-კვლევითი პროექტი.

უნივერსიტეტს მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობა აქვს ქვეყნისა და უცხოეთის წამყვან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. მეცნიერების სხვადასხვა დარგში გამართული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებისა და სიმპოზიუმებისათვის ბსუ ითვლება სასურველ მასპინძლად, გარდა ამისა, უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი აქტიურად მონაწილეობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციებსა და გაცვლით პროგრამებში.

ძვირფასო აბიტურიენტებო!

თქვენ, ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების წინაშე დგახართ. უნდა აირჩიოთ პროფესია, რომელიც თქვენი ცხოვრების განმსაზღვრელი და შესაძლებლობების რეალიზების საფუძველი გახდება.

ქვეყნის წინსვლა, განვითარება და მომავალი განათლებული, წარმატებული, კონკურენტუნარიანი ახალგაზრდების ძალისხმევაზეა დამოკიდებული. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც გთავაზობთ თითქმის საუკუნოვან გამოცდილებაზე დაფუძნებულ, ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან ადაპტირებულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

გარწმუნებთ, ჩვენს უნივერსიტეტში მიღებული განათლება თქვენი და ჩვენი ქვეყნის წარმატებული მომავლის საფუძველი იქნება!

პატივისცემით, უნივერსიტეტის რექტორი
მერაბ ხალვაში

კომფორტული გარემო შენთვის

სტუდენტთა საცხოვრებელი – თანამედროვე სტანდარტების საუნივერსიტეტო კომპლექსი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ახალი, თანამედროვე სტანდარტების საუნივერსიტეტო კომპლექსი - სტუდენტთა საცხოვრებელი ლეონიძის ქ.N15-ში ააშენა და ის 174 მობინადრეზეა გათვალისწინებული.

შენობაში განთავსებულია დაცვის ოთახი, ადმინისტრაცია, სამრეცხაო-საშრობი, საკონფერენციო სივრცე და 47 საცხოვრებელი ოთახი (ბლოკები), ძირითადად გათვალისწინებული 3-4 მობინადრეზე, რომელსაც გააჩნია თავისი სველი წერტილი და სამზარეულო.

ასევე საცხოვრებლის თითოეულ სართულზე განთავსებულია თითო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის ადაპტირებული ბლოკები. შენობაში ფუნქციონირებს ლიფტი. იგი იძლევა უნივერსიტეტის მიერ მოწვეულ სტუმართა განთავსების

შესაძლებლობას 18 მობინადრეზე.

სტუდენტთა საცხოვრებელი ტექნიკურად სრულად არის აღჭურვილი. საკონფერენციო ოთახში განთავსებულია ინტერნეტ ქსელში ჩართული კომპიუტერები, რაც კიდევ უფრო უწყობს ხელს სტუდენტის სწავლა-განვითარებას. შენობა სრულად აღჭურვილია ცენტრალური გათბობის სისტემით, საყოფაცხოვრებო ტექნიკით (ტელევიზორები, მაცივრები, ელ.გაზქურები, გამწოვები, სარეცხი და საშრობი მანქანები, კონდიციონერები). შენობა აღჭურვილია უსაფრთხოების სისტემებით.

სტუდენტთა საცხოვრებელი ქალაქში გადაადგილებისთვის ხელსაყრელ ადგილას არის განთავსებული. პრაქტიკულად შენობასთან გადის ქალაქის საზოგადოებრივი ტრანსპორტის ძირითადი ნაწილი, რომლითაც სარგებლობენ სტუდენტები და სხვა მობინადრეები.

ბსუ-ს სტუდენტთა საცხოვრებლის ფართით სარგებლობის საფასური (გადასახდელი) ბსუ-ს სტუდენტისათვის/პროფესიული სტუდენტისათვის - ყოველთვიურად 100 ლარს შეადგენს, თუმცა მოქმედებს საცხოვრებლით სარგებლობისათვის შეღავათები.

მე ვარ დარინა წიტაიშვილი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის 1-ლი კურსის სტუდენტი. ვცხოვრობ ოზურგეთში.

სტუდენტთა საცხოვრებლის შესახებ გავიგე მაშინ, როდესაც ბათუმში ვეძებდი ბინას, სადაც შევძლებდი კომფორტულად ცხოვრებას და მშვიდ გარემოში სწავლას. სტუდენტთა საცხოვრებელი სწორედ ასეთი აღმოჩნდა. აქ თავს ძალიან კომფორტულად ვგრძნობ, სწავლისა და განვითარებისთვის კარგი გარემოა.

სტუდენტები უზრუნველყოფილნი ვართ ინტერნეტით, მყუდრო სამეცადინო მაგიდებით, სამზარეულოთი, კომფორტული ოთახებით, აბაზანებითა და სველი წერტილებით, ასევე ბიბლიოთეკითა და კომპიუტერებით, რაც ხელს გვიწყობს კარგ პირობებში ვცხოვრობდეთ. ამასთან, აქ შევიძინე ახალი მეგობრები, რომლებთან ერთადაც დროის უმეტეს ნაწილს ვატარებ. ისინი ყოველთვის მზად არიან მხარში დამიდგნენ. ეს კი ჩემში დიდ მოტივაციას იწვევს. ჩვენს საცხოვრებელს აქვს გასართობი გარემოც, სადაც დღის მანძილზე ვიკრიბებით, ფილმებს ვუყურებთ, ტენისს ვთამაშობთ და ა.შ. რითაც მინდა გითხრათ, რომ ძალიან მოხარული ვარ. გარდა ამ ყველაფრისა, საერთო საცხოვრებლის ყველა თანამშრომელი ზედმიწევნით კარგად ასრულებს თავის მოვალეობას. რომ არა აქაურობა, ალბათ ვერც ამდენ ახალ მეგობარს შევიძენდი. შესაძლოა, ვერც სწავლის მხრივ ვყოფილიყავი ასე მოწადინებული.

მე ვარ ნინო გიორგაძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისური ფილოლოგიის მე-2 კურსის სტუდენტი.

გარემო, სადაც ადამიანი ცხოვრობს და ურთიერთქმედებს, მას პიროვნებად აყალიბებს. მასზეა დამოკიდებული პიროვნების ფიზიკური და სოციალური აღზრდა. სტუდენტური საერთო საცხოვრებელი კარგ პირობებს უქმნის სტუდენტებს. აქ ცხოვრება მეხმარება იმაში, რომ ავიმაღლო სწავლისადმი მოტივაცია.

ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მეგობარი, რომელიც შენთან ერთად ცხოვრობს და უამრავი ცხოვრებისეული გადაწყვეტილების მიღებაში, რჩევა–დარიგებაში გეხმარება. ჩემი ოთახის მეგობრებს პირველივე დღიდანვე კარგად შევეწყვე, რადგან ბევრი საერთო ინტერესი აღმოგვაჩნდა. სწავლის გარდა, თავისუფალ დროს თითქმის ერთად ვატარებთ...

სტუდენტებს არ გვაქვს ელექტროენერგიის, ინტერნეტთან წვდომისა და სხვა მსგავსი პრობლემები, რაც უფრო კომფორტულსა და მყუდროს ხდის აქ ცხოვრებას.

საცხოვრებლის თითოეულ თანამშრომელს დიდი პასუხისმგებლობა აკისრია სტუდენტების წინაშე. თითოეული მათგანი ყოველთვის მზადაა ჩვენს დასახმარებლად და მეც, რა თქმა უნდა, პატივს ვცემ მათ.

საერთო საცხოვრებელი კომფორტულ და მყუდრო გარემოს მიქმნის. რაც მთავარია, ეს ადგილი დამეხმარა ახალი მეგობრების შეძენაში.

უზრუნველყოფილი გარემო სასიამოვნოს ხდის აქ ცხოვრებას.

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა

საქართველოში მიმდინარე რეფორმის კვალდაკვალ, ტექნოლოგიების და სხვადასხვა სახის საინფორმაციო საშუალების განვითარების ფონზე სტუდენტებში უფრო მნიშვნელოვანი ხდება ინფორმაციული წიგნიერების უნარების გამომუშავება. ამდენად, შეიცვალა მოთხოვნები და მიდგომები განათლების სფეროში.

ბიბლიოთეკას ყოველთვის განსაკუთრებული ფუნქციები და როლი ეკისრება გარშემომყოფ საზოგადოებაში წიგნიერების ამაღლების, ინფორმაციის დაგროვების, დაცვისა და გავრცელების თვალსაზრისით. განვითარებასთან ერთად იზრდება მოთხოვნები ბიბლიოთეკის მიმართ. ტრადიციულ ვალდებულებებთან ერთად დამატებითი როლი აკისრია საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკას.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ისტორია უნივერსიტეტის დაარსების დღიდან იწყება. აქ თანამედროვე სამეცნიერო, მხატვრულ და პოპულარულ ლიტერატურასთან ერთად დაცულია 1815-1917 წლებში გამოცემული, მეცნიერული და ისტორიული ხასიათის ძველი გამოცემები. დღეისთვის კი ფონდის შემადგენლობაშია 300 000-ზე მეტი დასახელების საბიბლიოთეკო დოკუმენტი. გარდა ამისა, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მკითხველს

უზრუნველყოფს სხვადასხვა სამეცნიერო და შემეცნებითი პერიოდული გამოცემითა და საერთაშორისო ელექტრონული ბაზებით.

იგი მოიცავს ერთ ცენტრალურ, ორ საფაკულტეტო და ერთ სამეცნიერო-კვლევით ცენტრს. ასევე, ბიბლიოთეკა შედგება სამი ქვესტრუქტურული ერთეულისგან: მომსახურების განყოფილება, ელექტრონული რესურსების განყოფილება და დამუშავება-დაკომპლექტების განყოფილება.

ლიტერატურის ძიების გასამარტივებლად შექმნილია საბიბლიოთეკო დოკუმენტების ელექტრონული კატალოგი, მკითხველთა ინტერესების უკეთ დაკმაყოფილების მიზნით ელექტრონული რესურსების განყოფილება მუშაობს ბიბლიოთეკის მართვის ინტეგრირებულ სისტემაში - „10.10.48.48“, „open biblio”, “koha”. გვაქვს წვდომა საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზებზე: EBSCO Publishing, Cambridge University Press, Royal Society Journals Collection, BioOne, Elsevier.

ბიბლიოთეკაში არსებული კოლექციებისა და წიგნადი ფონდის შესახებ ინფორმაცია მომხმარებლისთვის მისაწვდომია როგორც ელექტრონული, ისე ხელნაწერი საკატალოგე სისტემების საშუალებით.

მომხმარებელთა ინტერესების შესწავლა და ბიბლიოთეკის საათანადო ბაზებით უზრუნველყოფა უნივერსიტეტის მუდმივი ზრუნვის საგანია.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ემსახურება უნივერსიტეტის სტუდენტებს, პერსონალსა და სტუმარს, ასევე საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობის სხვადასხვა უფლებით.

ბიბლიოთეკა ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მართავს საინფორმაციო შეხვედრებს ყველა ფაკულტეტის პირველკურსელებისთვის, რომლის ფარგლებშიც ხდება ბიბლიოთეკის ისტორიის, მისიის, მიზნების, სტრუქტურისა და სარგებლობის წესების გაცნობა, რათა ხელი შეეწყოს სტუდენტებთან ურთიერთობის გაღრმავებას და მოწესრიგებულ კომუნიკაციას.

ინფრასტრუქტურას რაც შეეხება, ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, თანამედროვე კომპიუტერებითა და კონდინცირებით, რომელიც უზრუნველყოფს კომფორტული გარემოს შექმნას ჩვენი მომხმარებლებისთვის. გარდა ამისა, ბიბლიოთეკაში არის მოსასვენებელი ადგილი, სადაც შესაძლებელია

თავისუფალ გარემოში მუშაობა. განლაგებულია კარადები, სადაც ინახება მომხმარებლის მიერ ბიბლიოთეკაში შემოტანილი ნივთები. ასევე, გვაქვს კვებისთვის განკუთვნილი ოთახი, სადაც განლაგებულია მაგიდა, სკამები, მაცივარი, ელექტრო-ღუმელი და წყლის აპარატი.

ბიბლიოთეკის პრიორიტეტებია: თანამედროვე ლიტერატურის შეძენა, სხვადასხვა ინტერესის მქონე მკითხველისთვის შეუფერხებელი წვდომის უზრუნველყოფა და საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესის მაქსიმალური ხელშეწყობა.



ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი აბიტურიენტთა ინტერესს ყოველთვის იწვევდა. ჩვენს ფაკულტეტზე მოქმედ 10 საბაკალავრო, 7 სამაგისტრო და 4 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ყოველწლიურად 300-ზე მეტი ვაკანტური ადგილი ცხადდება და არასდროს გვქონია შევსების პრობლემა.

აბიტურიენტები ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს ირჩევენ სხვადასხვა ფაქტორის გამო:

- საინტერესო და მრავალფეროვანი პროგრამები, რომლებიც ჰუმანიტარული მიმართულების ფართო სპექტრს მოიცავს (ფილოსოფია, ისტორია, არქეოლოგია, აღმოსავლეთმცოდნეობა; ქართული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული, თურქული ფილოლოგია; თარგმანმცოდნეობა; სოციოლოგია, ლინგვისტიკა, ლიტერატურათმცოდნეობა);
- გამოცდილ პროფესიონალთა გუნდი;
- დასაქმების შესაძლებლობა კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში, მენეჯმენტის რგოლში;
- ჩვენი სტუდენტები წარმატებით საქმდებიან უკვე სტუდენტობის პერიოდში; არაერთი ჩვენი წარმატებული კურსდამთავრებული დღეს საპასუხისმგებლო თანამდებობებს იკავებს რეგიონში და მის ფარგლებს გარეთაც;
- ფაკულტეტზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ევროპული და აღმოსავლური ენების შესწავლას, რაც სტუდენტებს გაცვლით პროგრამებში წარმატებით ჩართვას და ევროპულ უნივერსიტეტებში სწავლის გაგრძელების საშუალებას აძლევს; ყოველ სემესტრში რამდენიმე სტუდენტი გაცვლითი პროგრამით მიემგზავრება ევროპაში; ამჟამადაც ჩვენი 3 სტუდენტი გაემგზავრა რუმინეთსა და საფრანგეთში და იქ გააგრძელებენ სწავლას მიმდინარე სემესტრში: ანა ზაქარაძე (საფრანგეთი, რუანი), ცისნამი შარაშიძე (საფრანგეთი, რუანი), თამთა სალაძე (რუმინეთი);
- მოწესრიგებული და სასიამოვნო გარემო, უნივერსიტეტის ძველ, ისტორიულ კორპუსში;
- სათანადოდ აღჭურვილი აუდიტორიები, სასწავლო კაბინეტები; განსაკუთრებული სიამაყით აღვნიშნავთ, რომ ჩვენს ფაკულტეტზე ამ დღეებში დასრულდა უმნიშვნელოვანესი ინფრასტრუქტურული პროექტი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ხელშეწყობით მოეწყო ინოვაციური ტექნოლოგიით აღჭურვილი სინქრონული თარგმანის ლაბორატორია, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი სტუდენტების დახელოვნებას ამ მიმართულებით და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების ჩამოყალიბებას;

მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრება: სტუდენტები აქტიურად არიან ჩართული უნივერსიტეტში მოქმედი შემოქმედებითი კლუბების საქმიანობაში, მონაწილეობენ და იმარჯვებენ სტუდენტური პროექტების კონკურსში ამ დღეებში ინგლისური ფილოლოგიის სტუდენტმა ნინო კოსოლიძემ წარადგინა პროექტი და გაიმარჯვა კონკურსში.

ფაკულტეტზე სხვა სიახლეებიც იგეგმება, ვმუშაობთ ახალ საგანმანათლებლო და ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.

იმედი გვაქვს, რომ აბიტურიენტები მიმდინარე წელსაც არჩევანს ჩვენს ფაკულტეტზე შეაჩერებენ და, რაც მთავარია, მათი იმედები გამართლდება!

ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი 2018 წელს ორი ფაკულტეტის გაერთიანების შედეგად ჩამოყალიბდა. იგი აერთიანებს მნიშვნელოვან მიმართულებებს: განათლებას, მათემატიკას, ფიზიკას, კომპიუტერულ მეცნიერებებსა და სპორტს.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თავისი 85-წლიანი გამოცდილებითა და ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში დამკვიდრებული მნიშვნელოვანი ადგილით ყოველთვის იწვევდა და იწვევს არა მხოლოდ ჩვენი რეგიონის, არამედ მთელი საქართველოს აბიტურიენტების ინტერესს. უნივერსიტეტი განვითარებაზეა ორიენტირებული და დღითიდღე იზრდება და ფართოვდება, იზრდება აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა, ასევე სწავლება-სწავლის ხარისხი.

ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტზე მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებს უნივერსიტეტში ფუნქციონირების მრავალწლიანი ისტორია და მდიდარი გამოცდილება აქვს. მაღალია მოთხოვნა როგორც თავიანთი შინაარსიდან, ასევე დასაქმების შესაძლებლობებიდან გამომდინარე. უნივერსიტეტში დამკვიდრებული სწავლება-სწავლის სტილი და ხარისხზე ორიენტაცია, მიღებულ კვალიფიკაციასთან ერთად ფაკულტეტზე მოქმედი ყველა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებს აძლევს შრომის ბაზრის თანამედროვე კონკურენტულ გარემოში საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენისა და თავის დამკვიდრების საშუალებას. მრავალფეროვან დამსაქმებელთან აქტიური თანამშრომლობის გზით ფაკულტეტი ხელს უწყობს როგორც კურსდამთავრებულთა დასაქმებას, ასევე დამამთავრებელი კურსების სტუდენტთა სტაჟირებას. ფაკულტეტზე მოქმედი პროგრამების უმრავლესობა სახელმწიფოს მიერ პრიორიტეტულადაა აღიარებული და მათ სახელმწიფო სრულად აფინანსებს.

ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტს გააჩნია ძლიერი ინტელექტუალური პოტენციალი და მრავალფეროვანი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: კომპიუტერული კლასები, ფიზიკის ლაბორატორიები, რობოტო ტექნიკის ლაბორატორია და მართვის თანამედროვე მეთოდების პროგრამული უზრუნველყოფის ცენტრი. ფაკულტეტის ტექნიკურად აღჭურვაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის როგორც თავად უნივერსიტეტს, ასევე ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ საგრანტო პროექტებს. ფაკულტეტის შემადგენლობაში შედის ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი, რომელიც ემსახურება მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით უცხო ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლების პროცესს.

ფაკულტეტი სტუდენტებს მრავალფეროვან სტუდენტურ ცხოვრებას სთავაზობს, რომელიც რამდენიმე მიმართულებას მოიცავს: სტუდენტური პროექტები, საერთაშორისო და ეროვნულ ოლიმპიადებსა და კონფერენციებში მონაწილეობა, სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა სახის ღონისძიებებსა და აქტივობებში. უნივერსიტეტი გაცვლითი პროგრამებით დაინტერესებულ სტუდენტებს საშუალებას აძლევს მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო მობილობებში და გაცვლით პროგრამებში და სხვა ქვეყნებში მიღებული გამოცდილება, მინიჭებულ კვალიფიკაციასთან ერთად, წარმატებულად გამოიყენონ თავიანთ პროფესიულ საქმიანობაში. ფაკულტეტი ემსახურება სპორტით დაინტერესებულ ახალგაზრდებს და აძლევს სპორტის სხვადასხვა მიმართულებით საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა-განვითარების საშუალებას.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელშეწყობით ფაკულტეტის პერსონალი მუდმივად ცდილობს დაინტერესებულ აბიტურიენტებს მოლოდინი გაუმართლოს და დახვდეს მათ აკადემიურად გამართული გარემოთი, საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებადი აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამებითა და სწავლისა და განვითარების მრავალმხრივი და ინოვაციური შესაძლებლობებით.

მე ვარ ანა სურმანიძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ფიზიკის სპეციალობის მე-3 კურსის სტუდენტი. ბავშვობიდანვე მსურდა მიმეღო პასუხი ყველა იმ კითხვაზე, რაც ეხებოდა ბუნებას, ბუნებაში მიმდინარე მოვლენებსა და ზოგადად სამყაროს. სწორედ ფიზიკა აღმოჩნდა ის ერთადერთი მიმართულება, რომლის მეშვეობითაც მივიღებდი ყოველ საკითხზე ზუსტ ინფორმაციას. ეს არის მეცნიერება, სადაც არ არის მნიშვნელოვანი სუბიექტური აზრი, არამედ ყოველივე დასაბუთებულია კონკრეტული თეორემებით, ფორმულებითა და ფაქტებით.



2017 წელს ოქროს მედალზე დავამთავრე ბათუმის №4 საჯარო სკოლა. პარალელურად ვიყავი ბათუმის სამხატვრო აკადემიის მოსწავლე. სკოლის ასაკიდანვე აქტიურად ვმონაწილეობ სხვადასხვა სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაში. 2016 წელს ავიღე I ხარისხის დიპლომი აგრობიოტექნოლოგიის სექციაში გამარჯვებისათვის, სწორედ ეს ეტაპი აღმოჩნდა გადამწყვეტი ჩემი მომავალი კარიერისათვის.

2017 წელს გავხდი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი და ამავე წლიდან დაიწყო ჩემი სტუდენტური ცხოვრება. უნივერსიტეტის დახმარებით მივიღე ინფორმაცია სხვადასხვა ღონისძიებისა და კონკურსის შესახებ. ბსუ-ს სახელით ვარ არაერთი სამეცნიერო კონფერენციისა თუ სტუდენტური პროექტის მონაწილე და გამარჯვებული გუნდის წევრი, მათ შორის : „Student Startup Camp“, ჰაკატური - „ჰაკათონი“, კიბეროლიმპიადა - „Cyber Cub“, „სტუდენტური პოსტერების კონკურსი პლაგიატის შესახებ“.

ყოველწლიურად ბსუ-ში ტარდება მიზნობრივი სტუდენტური პროექტების კონკურსი, რომლის ფარგლებშიც განვახორციელე ორი პროექტი:

„ფუკოს ქანქარა“ (ხელმძღვანელები: ნუგზარ ღომიძე, ლალი კალანდაძე და იზოლდა ჯაბნიძე) - მისი მიზანია დედამიწის ბრუნვის ღია დემონსტრაცია საზოგადოებისათვის. ბსუ პირველი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა საქართველოში, სადაც ფუკოს ქანქარა აიგო. ის დიდ ინტერესს იწვევს არამარტო სტუდენტებში, არამედ სკოლის მოსწავლეებში. ფიზიკის დეპარტამენტში მუდმივად იმართება ღია კარის დღეები, სადაც სტუმრებს ეძლევათ საშუალება უფრო დეტალურად მიიღონ ინფორმაცია არსებული პროექტისა და ზოგადად ფიზიკის შესახებ.

„QB ბიბლიოთეკა“ (თანაავტორი ნინო ცინცაძე) წარმოადგენს სტარტაპ პროექტს, რომლის ანალოგი არ არსებობს. არსებული ტექნოლოგია ბსუ-ს სტუდენტებს საშუალებას მისცემს მარტივად დაუკავშირდნენ უნივერსიტეტში არსებულ ელექტრონულ ბიბლიოთეკას. პროექტმა FAB LAB BSU-ში წარმატებით გაიარა პრე-აქსელატორის პროგრამა, რომელიც აგებულია ევროპის ყველაზე გამოცდილი B2B აქსელერატორის Startup Wise Guys რეკომენდაციებითა და სილაბუსით.

2018 წელს გავხდი ბსუ-ს ვებ ინტერფეისის პროფესიული პროგრამის სტუდენტი, მივიღე განათლება ვებ პროგრამირებისა და დიზაინის მიმართულებით. მესამე კურსზე დამატებით სპეციალობად ავირჩიე კომპიუტერული მეცნიერებები. ამ ნაბიჯით კი კიდევ ერთი ახალი პროფესია შევმატე ჩემს კარიერულ ცხოვრებას.

პირველი კურსიდან უნივერსიტეტში რამდენიმე სტიპენდიის მფლობელი ვარ, კერძოდ: ფრიადოსნობის, საფაკულტეტო - ხუსეინ ხალვაშის სახელობის და სახელმწიფო სტიპენდიების.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბსუ-მ საშუალება მომცა განათლება მიმეღო სხვადასხვა მიმართულებით: მეცნიერება, ხელოვნება, დაპროგრამება. ყოველი ახალი პროექტი ჩემთვის გამოწვევაა, რომელსაც თან მოჰყვება ახალი ენერგია, გამოცდილება და მეგობრები.

თუ ხარ აბიტურიენტი და ჯერ ისევ ფიქრობ, მოდი ჩვენთან ღია კარის დღეებზე! რეალურად დაინახე ის გარემო, რაც სტუდენტობის ჟამს გელის: გაცვლითი პროგრამები, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სივრცე, ყურადღებიანი და პოზიტიური ლექტორები, ციფრული ბიბლიოთეკა და სხვა მრავალი შესაძლებლობა.

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პირველი, რასაც აბიტურიენტი უნდა აცნობიერებდეს სწავლისთვის მზაობა და პასუხისმგებლობაა. წელს ფაკულტეტის ხუთივე სპეციალობაზე (საჯარო მმართველობა, სამართალმცოდნეობა, საერთაშორისო ურთიერთობები, ევროპისმცოდნეობა და ფსიქოლოგია) მისაღები გამოცდები ჩატარდება მხოლოდ სამ საგანში – ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა, ისტორია. წელს, პირველად გვაქვს მიღება ახალ აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე – საჯარო მმართველობა, სადაც უცხო ენად მხოლოდ ინგლისური გვაქვს მითითებული. შესაბამისად, ინგლისური ენაში მაღალი კომპეტენცია მნიშვნელოვანი იქნება მომავალი პროფესიონალი კადრისთვის. მხოლოდ ბარიერის გადალახვა საკმარისი არ არის იმისთვის, რომ აბიტურიენტი ჩვენთან ჩაირიცხოს. ფაკულტეტი თავისი სპეციალობებით ბოლო 5 და მეტი წელია ინარჩუნებს ლიდერ პოზიციებს საგანმანათლებლო ბაზარზე და ეს ჩვენ გვაძლევს საშუალებას სწორი მენეჯმენტით უკეთესი შედეგები მივიღოთ.

რატომ ბსუ? ბოლო კვლევებით ჩვენ რეგიონში პირველ პოზიციას ვინარჩუნებთ, ხოლო საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების რეიტინგში მესამე ადგილზე ვართ. ეს უბრალოდ რეიტინგი არ არის, ეს მრავალწლიანი შრომის შედეგია, რომელსაც უმაღლესი სასწავლებლის რექტორატი და ადმინისტრაცია აკადემიურ პერსონალთან ერთად ეწევა. რატომ იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი? – პასუხი აქაც მარტივია – იმიტომ, რომ ჩვენ ვართ ყველაზე რეიტინგული უნივერსიტეტში და ზოგ შემთხვევაში ქართულ საგანმანათლებლო სივრცეშიც. ფაკულტეტი დღენიადაგ შრომობს იმისთვის, რომ ჩვენთან მოხვედრილ სტუდენტს შეექმნას მაქსიმალური კომფორტი სწავლისთვის და თვითრეალიზაციისთვის. ამაში კი კურიკულუმს გარე აქტივობებიც გვეხმარება. ჩვენთან მაღალია სტუდენტთა გაცვლითი პროგრამებით მობილობა, შესაბამისად საერთაშორისო სემესტრი ჩვენს სინამდვილეში უკვე აპრობირებულია და ამით უამრავმა სტუდენტმა ისარგებლა.

ფაკულტეტი თავისი ისტორიით, ყოველდღიური შედეგებით უკვე წარმატებულია. დღეს საგანმათლებლო პროგრამების განხორციელებაში აქტიურად ვიყენებთ კლას-ლაბორატორიებს, საიმიტაციო დარბაზებს, ფაკულტეტზე არსებულ კვლევით ცენტრებს და ა.შ. როდესაც ვსაუბრობთ პერსპექტივაზე, სწორედ ეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზები კარგ შესაძლებლობას ქმნის პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის. ასე მაგალითად ფაკულტეტთან ფუნქციონირებს იურიდიული კლინიკა და ფსიქოლოგიური კლინიკა, სადაც მენტორის, პროფესორის მეთვალყურეობით სტუდენტები ივითარებენ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს – ემსახურებიან საზოგადოებას კონკრეტული მიმართულებით, სარჩელის მომზადება ან ადვოკატირება და ა.შ. გარდა ამისა, შეიძლება ვისაუბროთ კრიმინალისტიკის ლაბორატორიაზეც და ბოლოს სასამართლო საიმიტაციო დარბაზზე, სადაც ყოფილი ან მოქმედი მოსამართლეების (ჩვენი მოწვეული პედაგოგები) დახმარებით ტარდება საიმიტაციო სასამართლო პროცესები.

სტუდენტურ ცხოვრება ვერ წარმომიდგენია იყოს მშვიდი, დუნე. ჩვენთან ეს ასეც არის. ალბათ იმიტომ, რომ ზოგადად სასწავლო პროცესი მრავალწახნაგოვანია. იქნება ეს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების შესრულება თუ კურიკულუმს მიღმა აქტივობები, სადაც შესაძლებელია, იქ ჩვენც ვერთვებით. მაგალითად, წინა წელს გათამაშდა ფაკულტეტის თასი ფუტზალში, სადაც ერთმანეთს სტუდენტები და ლექტორ-მასწავლებლები ვეჯიბრებოდით. რა თქმა უნდა, გამარჯვება მომავალს ერგო. აქ არსებითი ის არის, რომ ყველა კმაყოფილი ვიყავით. ასევე მნიშვნელოვანია ის, რომ სტუდენტები არსებითად თავისუფლები არიან არჩევანში და აქტივობების დაგეგმვა-განხორციელებაში. ერთადერთი, რაც უნდა იცოდნენ ისაა, რომ თუ ჩვენი გულის მოგება სურთ, უნდა ისწავლონ, იყვნენ საუკეთესოები აუდიტორიასა და აუდიტორიის მიღმა ფართო საზოგადოებაში.

სწავლა საზღვარგარეთ გაცვლითი პროგრამები

Erasmus+ - გაცვლითი პროგრამა
HORIZON 2020-გაცვლითი პროგრამა
IREX - გაცვლითი პროგრამა
DAAD - გაცვლითი პროგრამა
Fulbright - ამერიკის საელჩოსთან არსებული სამთავრობო გაცვლითი პროგრამა
MEVLANA - გაცვლითი პროგრამა
UGRAD - გაცვლითი პროგრამა
სამთავრობო სტიპენდიები

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ევროკომისიის მიერ დაფინანსებული გაცვლითი პროგრამების - Erasmus+, Tempus - მიხედვით საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის მესამე ადგილზეა.

სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი

- *სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის განყოფილება*
- *სტუდენტთა ელექტრონული რესურსების მართვის განყოფილება*
- *კულტურისა და სპორტის განყოფილება*

სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის განყოფილება სტუდენტებს ეხმარება საკუთარი განათლებისა და კარიერის სწორად წარმართვასა და დამსაქმებლებთან ურთიერთობაში. განყოფილება სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით მჭიდროდ თანამშრომლობს შრომის ბაზრისა და დასაქმების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან (სახელმწიფო, არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან).

ტრენინგების ფარგლებში სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია შრომის ბაზრის დინამიკასა და პერსპექტივებზე, აგრეთვე ისინი იღებენ დასაქმებისათვის აუცილებელ ზოგადი უნარ-ჩვევებს, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე საკონსულტაციო მომსახურებას.

გარდა ამისა, სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის განყოფილება კოორდინირებას უწევს და სტუდენტებთან ერთად აორგანიზებს საგანმანათლებლო, სოციალურ, საქველმოქმედო და შემოქმედებით აქტივობებს, კერძოდ:

ბსუ-ს სტუდენტური თავისუფალი სამეცნიერო, საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი და სპორტული სახის პროექტების კონკურსის ფარგლებში კოორდინირებას უწევს სამეცნიერო (ერთი პროექტის ბიუჯეტი 3000 ლარი), საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი და სპორტული სახის პროექტების (ერთი პროექტის ბიუჯეტი 5000 ლარი) კონკურსში გამარჯვებული პროექტების განხორციელებას.

აგრეთვე, განყოფილების მხარდაჭერითა და ბსუ-ს სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების ორგანიზებით ყოველწლიურად ტარდება „სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია“, რომლის ბიუჯეტიც შეადგენს 45 000 ლარს. კონფერენციის ფარგლებში, ყოველწლიურად, საშუალოდ 57-მდე გამარჯვებული ვლინდება, რომლებსაც გადაეცემათ 150, 100 და 50 ლარიანი ფულადი ჯილდოები. კონფერენციის დასრულების შემდეგ, კონფერენციაში საუკეთესო შედეგების მქონე სტუდენტთა ნაშრომები იბეჭდება „სამეცნიერო ნაშრომთა კრებულში“, რომელიც შესაბამის პირებს უფასოდ გადაეცემათ.

სტუდენტთა ელექტრონული რესურსების მართვის განყოფილება ახორციელებს, როგორც სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემისა და სტუდენტური პორტალის (www.portal.bsu.edu.ge) ადმინისტრირებას, ასევე საგანმანათლებლო სფეროში სხვადასხვა სახის მიმდინარე და დაგეგმილი კონკურსების, პროექტების და პროგრამების შესახებ ინფორმაციის მოპოვებასა და უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის გაცნობას.

ფუტსალი - გუნდი წარმატებით ასპარეზობს საქართველოს ფუტსალის ლიგის, საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის ფუტსალის ლიგასა და თასზე, აჭარის სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტის მიერ დაგეგმილ ჩემპიონატებში. მონაწილეობს საქართველოს ჩემპიონატის ქვიშის (საპლაჟო) ფეხბურთში. გუნდის შემადგენლობის უმრავლესობა არის აჭარის ფუტსალის ნაკრები გუნდის წევრი. რამდენიმე ფეხბურთელი მიწვეულია საქართველოს ფუტსალის ეროვნულ ნაკრებში. ფუტსალის ნაკრები გუნდის ახალი ფეხბურთელებით შევსებისათვის დაგეგმილია შიდა საუნივერსიტეტო ფუტსალის ლიგა;

კალათბურთი - გუნდი ასპარეზობს საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის კალათბურთის ლიგასა და თასზე, აჭარის სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტის მიერ დაგეგმილ ჩემპიონატებში. ფედერაციის მიერ დაგეგმილ ქუჩის კალათბურთის ტურნირებში.

მკლავჭიდი - გუნდი ვარჯიშობს უნივერსიტეტის მცირე დარბაზში აჭარის მკლავჭიდის ნაკრებ გუნდთან ერთად. ჩართულია სტუდენტთა გარკვეული რაოდენობა. მონაწილეობენ ფედერაციის ეგიდით განხორციელებულ სპორტულ შეჯიბრებებში;

მაგიდის ჩოგბურთი - ფუნქციონირებს მაგიდის ტენისის სექცია. ემსახურება, როგორც სტუდენტებს, ასევე პროფესორ-მასწავლებლებს;

ფარიკაობის კლუბი - გაერთიანებულია 20-მდე სტუდენტი;

ბილიარდი - ჩამოყალიბდება ბილიარდის მოყვარულთა კლუბი აჭარის ბილიარდის ფედერაციასთან ერთად;

ტრენაჟორები- განთავსებულია უნივერსიტეტის მცირე დარბაზში;

ფრენბურთი: გოგონებისა და ვაჟების გუნდი.

ჭადრაკის მოყვარულთა კლუბი - გვყავს დარეგისტრირებული მსურველი სტუდენტები და პროფესურა. ტარდება საუნივერსიტეტო ჩემპიონატი სტუდენტებში;

სპორტული ცეკვების სექცია: სექციაში გაწევრიანების მსურველები არიან როგორც სტუდენტები, ასევე პროფესორ-მასწავლებლები;

რაგბი - მიმდინარეობს მზადება სტუდენტური გუნდის ჩამოყალიბებისთვის.

კულტურის ცენტრი - გაერთიანებულია უნივერსიტეტის შემოქმედებითი ჯგუფები

სტუდენტური თეატრი - სტუდენტური თეატრალური დასი აქტიურად მონაწილეობს რესპუბლიკურ და საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალებში;

ქორეოგრაფიული ანსამბლი „ტბეთი“ - თითქმის სამოცდაათწლიანი ისტორიაა აქვს. გაერთიანებულია 50-მდე სტუდენტი. მონაწილეობენ ადგილობრივ და საერთაშორისო ფესტივალებში;

გოგონათა ფოლკლურული ანსამბლი“თირინი“- ანსამბლში გაერთიანებულია თორმეტამდე უნივერსიტეტის სტუდენტი, აქვთ მრავალფეროვანი რეპერტუარი, ძირითადად ასრულებენ მრავალხმიან ქართულ ხალხურ სიმღერებს, აგრეთვე მაღალმთიანი აჭარის ხალხური ფოლკლორიდან. მონაწილეობენ სხვადასხვა ფესტივალებში;

თანამედროვე ცეკვები - საკმაო პოპულარობით სარგებლობს;

ბსუ-ს მუსიკალური ჯაზ-ბიგ-ბენდი - გაერთიანებულია ოცდაათამდე სტუდენტი. ბენდი დიდი პოპულარობით სარგებლობს რეგიონში. აქვთ საკმაოდ საინტერესო რეპერტუარი. მონაწილეობენ საერთაშორისო და ადგილობრივ ფესტივალებში.

ბსუ- კაპელა - გაერთიანებულია 20-მდე კლასიკური მუსიკის მოყვარული სტუდენტი.

სტიპენდიები

სწავლების მეორე სასწავლო წლიდან 81 ქულის მქონე სტუდენტები მიიღებენ 50-ლარიან სტიპენდიას, ხოლო 91 და მეტი ქულის მქონე სტუდენტები, წინა სემესტრის შედეგის გათვალისწინებით - 100-ლარიან სტიპენდიას.

წარჩინებულ და სოციალურად დაუცველ სტუდენტებს, რომელთაც აქვთ წარმატებები სამეცნიერო მუშაობაში, მეორე სასწავლო წლიდან, კონკურსის საფუძველზე ენიშნებათ საუნივერსიტეტო და სახელობითი სტიპენდიები 150 და 200 ლარის ოდენობით.

უნივერსიტეტში მოქმედებს წარმატებული და სოციალურად დაუცველი სტუდენტების მხარდაჭერის ფონდი.

სოციალურად დაუცველი, მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტები, კონკურსის საფუძველზე, უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან სწავლის გადასახადისათვის იღებენ თანადაფინანსებას.

დედ-მამით ობოლი სტუდენტები თავისუფლდებიან სწავლის გადასახადისაგან.

2020–2021 სასწავლო წლისთვის მიღება ცხადდება შემდეგ სპეციალობებზე:

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები

ქართული ფილოლოგია
ადგილების რაოდენობა: 80
საგამოცდო საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა, ისტორია
დაფინანსება: სრული სახელმწიფო დაფინანსებით.

გერმანული ფილოლოგია
ადგილების რაოდენობა: 5
საგამოცდო საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა, ისტორია.
დაფინანსება: გრანტი - 100%, 70%, 50%.
წლიური გადასახადი: 2250

ფრანგული ფილოლოგია
ადგილების რაოდენობა: 5
საგამოცდო საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა, ისტორია.
დაფინანსება: გრანტი - 100%, 70%, 50%.
წლიური გადასახადი: 2250

ინგლისური ფილოლოგია
ადგილების რაოდენობა: 80
საგამოცდო საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა, ისტორია.
დაფინანსება: გრანტი - 100%, 70%, 50%.
წლიური გადასახადი: 2250

რუსული ფილოლოგია
ადგილების რაოდენობა: 5
საგამოცდო საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა, ისტორია.
დაფინანსება: გრანტი - 100%, 70%, 50%.
წლიური გადასახადი: 2250

თურქული ფილოლოგია
ადგილების რაოდენობა: 5
საგამოცდო საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა, ისტორია.
დაფინანსება: გრანტი - 100%, 70%, 50%.
წლიური გადასახადი: 2250

ისტორია
ადგილების რაოდენობა: 50
საგამოცდო საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა, ისტორია.
დაფინანსება: სრული სახელმწიფო დაფინანსებით.

თარგმანმცოდნეობა
ადგილების რაოდენობა: 20
საგამოცდო საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა, ისტორია.
დაფინანსება: გრანტი - 100%, 70%, 50%.
წლიური გადასახადი: 2250

ფილოსოფია
ადგილების რაოდენობა: 15
საგამოცდო საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა, ისტორია.
დაფინანსება: გრანტი - 100%, 70%, 50%.
წლიური გადასახადი: 2250

თურქეთისმცოდნეობა
ადგილების რაოდენობა: 10
საგამოცდო საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა, ისტორია.
დაფინანსება: გრანტი - 100%, 70%, 50%.
წლიური გადასახადი: 2250

ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები

მათემატიკა
ადგილების რაოდენობა: 25
საგამოცდო საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა, მათემატიკა
დაფინანსება: სრული სახელმწიფო დაფინანსებით

ფიზიკა
ადგილების რაოდენობა: 10
საგამოცდო საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა, მათემატიკა
დაფინანსება: სრული სახელმწიფო დაფინანსებით

კომპიუტერული მეცნიერებები
ადგილების რაოდენობა: 40
საგამოცდო საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა, მათემატიკა
დაფინანსება: გრანტი 100%, 70%, 50%
წლიური გადასახადი: 2250

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგ-რირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა
ადგილების რაოდენობა: 80
საგამოცდო საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა, მათემატიკა/ისტორია
დაფინანსება: სრული სახელმწიფო დაფინანსებით

იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები

სამართალმცოდნეობა
ადგილების რაოდენობა: 75
საგამოცდო საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა, ისტორია
დაფინანსება: გრანტი - 100%, 70%, 50%.
წლიური გადასახადი: 2250

საერთაშორისო ურთიერთობები
ადგილების რაოდენობა: 40
საგამოცდო საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა, ისტორია
დაფინანსება: გრანტი - 100%, 70%, 50%.
წლიური გადასახადი: 2250

ევროპისმცოდნეობა
ადგილების რაოდენობა: 15
საგამოცდო საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა, ისტორია
დაფინანსება: გრანტი - 100%, 70%, 50%.
წლიური გადასახადი: 2250

საჯარო მმართველობა
ადგილების რაოდენობა: 30
საგამოცდო საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა, ისტორია
დაფინანსება: გრანტი - 100%, 70%, 50%.
წლიური გადასახადი: 2250

ფსიქოლოგია
ადგილების რაოდენობა: 50
საგამოცდო საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა, ისტორია
დაფინანსება: გრანტი - 100%, 70%, 50%.
წლიური გადასახადი: 2250

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები

ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი; საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმე; საბუღალტრო აღრიცხვა და საგადასახადო საქმე; მარკეტინგი)
ადგილების რაოდენობა: 200
საგამოცდო საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა, მათემატიკა/ისტორია
დაფინანსება: გრანტი - 100%, 70%, 50%.
წლიური გადასახადი: 2250

ეკონომიკა
ადგილების რაოდენობა: 40
საგამოცდო საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა, მათემატიკა
დაფინანსება: სრული სახელმწიფო დაფინანსებით

ტურიზმის ფაკულტეტი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

ტურიზმი
ადგილების რაოდენობა: 150
საგამოცდო საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა, მათემატიკა/ისტორია
დაფინანსება: გრანტი - 100%, 70%, 50%.
წლიური გადასახადი: 2250

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები

ბიოლოგია
ადგილების რაოდენობა: 30
საგამოცდო საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა, მათემატიკა
დაფინანსება: სრული სახელმწიფო დაფინანსებით

ქიმია
ადგილების რაოდენობა: 15
საგამოცდო საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა, მათემატიკა
დაფინანსება: სრული სახელმწიფო დაფინანსებით

ეკოლოგია
ადგილების რაოდენობა: 25
საგამოცდო საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა, მათემატიკა/ისტორია
დაფინანსება: გრანტი - 100%, 70%, 50%.
წლიური გადასახადი: 2250

გეოგრაფია
ადგილების რაოდენობა: 25
საგამოცდო საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა, მათემატიკა/ისტორია
დაფინანსება: გრანტი - 100%, 70%, 50%.
წლიური გადასახადი: 2250

მედიცინა
ადგილების რაოდენობა: 40
საგამოცდო საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, ბიოლოგია, უცხო ენა, ფიზიკა/ქიმია/მათემატიკა
დაფინანსება: გრანტი - 100%, 70%, 50%.
წლიური გადასახადი: 2250

სტომატოლოგია
ადგილების რაოდენობა: 25
საგამოცდო საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, ბიოლოგია, უცხო ენა, ფიზიკა/ქიმია/მათემატიკა
დაფინანსება: გრანტი - 100%, 70%, 50%.
წლიური გადასახადი: 2250

ფარმაცია
ადგილების რაოდენობა:15
საგამოცდო საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, ბიოლოგია, უცხო ენა, ფიზიკა/ქიმია/მათემატიკა
დაფინანსება: გრანტი - 100%, 70%, 50%.
წლიური გადასახადი: 2250

ტექნოლოგიური ფაკულტეტი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები

მშენებლობა
ადგილების რაოდენობა: 50
საგამოცდო საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა, მათემატიკა
დაფინანსება: სრული სახელმწიფო დაფინანსებით

არქიტექტურა
ადგილების რაოდენობა: 30
საგამოცდო საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა, მათემატიკა
დაფინანსება: გრანტი - 100%, 70%, 50%.
წლიური გადასახადი: 2250

ტელეკომუნიკაცია
ადგილების რაოდენობა: 20
საგამოცდო საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა, მათემატიკა
დაფინანსება: გრანტი - 100%, 70%, 50%.
წლიური გადასახადი: 2250

აგრარული ტექნოლოგიები (აგრონომია, აგროეკოლოგია, მცენარეთა დაცვა, სა-ტყეო საქმე)
ადგილების რაოდენობა: 50
საგამოცდო საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა, მათემატიკა/ისტორია
დაფინანსება: სრული სახელმწიფო დაფინანსებით

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი ეკონომიკური და ბიზნეს განათლების მძლავრი ცენტრია, რომელიც ვითარდება სამი ძირითადი მიმართულებით - განათლება, მეცნიერება და სასწავლო პრაქტიკა. ბოლო ხუთმა წელმა გამოკვეთა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ძლიერი მხარეები. ესენია: 1. პროფესორ–მასწავლებელთა სამეცნიერო–პედაგოგიური პოტენციალი; 2. საგანმანათლებლო პროგრამების მრავალფეროვნება სწავლების სამივე საფეხურზე; 3. პროფესორ–მასწავლებელთა და სტუდენტთა აკადემიური მობილობის, მათ შორის საერთაშორისო, გამოცდილება; 4. სასწავლო პროცესის საინფორმაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა; 5. სტუდენტთა და პროფესორ–მასწავლებელთა მაღალი პოზიციები საერთო საუნივერსიტეტო რეიტინგებში; 6. საერთაშორისო თანამშრომლობა; 7. სადოქტორო პროგრამა; 8. კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი; 9. პროფესიული სკოლების არსებობა; 10. სახელმწიფო პროგრამული დაფინანსება.

ბოლო ხუთი წლის მანძილზე რადიკალურად განახლდა, ფაქტობრივად თავიდან შეიქმნა ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ყოველდღიურად იზრდება მოთხოვნა ეკონომიკის, სამეწარმეო სფეროს, საჯარო სექტორის მენეჯერებზე, თვისობრივად განსხვავებული პროფესიული სტანდარტების მქონე ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალისტებზე. წელს მარტო ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამამ მიიღო 200 პირველკურსელი. ასევე მაღალია ინტერესი ჩვენი პროგრამების მიმართ გარე თუ შიდა მობილობის ფარგლებში. წელს ჩვენ მარტო გარე მობილობით მივიღეთ საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან - 26 ბაკალავრიატის, 6 მაგისტრატურის და 4 დოქტორანტურის სტუდენტი.

როგორც ცნობილია, ცოდნა უზრუნველყოფს კონკურენტულ უპირატესობას, რისთვისაც აუცილებელია, რომ მიღებული განათლება იყოს აქტუალური და პრაქტიკული, შეესაბამებოდეს კონკრეტულ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, პასუხობდეს საზოგადოებრივი განვითარების გამოწვევებს და იყოს პიროვნული წარმატების განმსაზღვრელი.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების და ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამები დღეს უფრო მეტად სტრუქტურირებულია, ვიდრე აქამდე იყო. თუმცა ჩვენ ვთვლით, რომ აქტუალურობა უნდა გამყარდეს ახალი ცოდნით, რომ არ შეიქმნას პრეცედენტი - როდესაც ადამიანს არ უნდა იმის გაცნობიერება, რომ მისმა ცოდნამ დაკარგა აქტუალურობა ან არის შემთხვევა, როდესაც თვლის, რომ მან უკვე ისეც ყველაფერი იცის. გარდა ამისა, დღემდე მიჩნეული იყო, რომ უნივერსიტეტში მიღებულ თეორიულ ცოდნას მეტი პრიორიტეტი აქვს, ვიდრე გამოყენებით უნარებს, კერძოდ, თუნდაც საქმიანი ურთიერთობების

განხორციელებაში. ცხადია, რომ თეორიული ხასიათის ინფორმაცია სწორი ფორმით უნდა მიეწოდოს საგანმანათლებლო პროგრამების მსმენელს და მან პრაქტიკული სარგებელი (შედეგი) უნდა მოუტანოს მას. ამისთვის კი ინფორმაციის სტრუქტურირებაა საჭირო. აუცილებელია უარი ვთქვათ ზოგადი ხასიათის, თავისი შინაარსით თუნდაც სასარგებლო ინფორმაციის მიწოდებაზე, და აქცენტი გავაკეთოთ საგანმანათლებლო პროგრამების ისეთ სტრუქტურირებაზე, სადაც ეკონომიკისა და ბიზნესის ამა თუ იმ სფეროს სპეციფიკა, აქტუალურობა იქნება გათვალისწინებული.

მეორე ამოცანა: სწავლა-სწავლების პროცესმა უნდა მიიღოს უფრო მეტად მობილური ხასიათი და აქტიურად გამოიყენოს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები. დაინერგოს ყველა ტექნიკური საშუალებებით ინოვაციური მეთოდების გამოყენება სასწავლო პროცესში. რაც უფრო პასიურია საგანმანათლებლო პროგრამა საკუთარი საგანმანათლებლო ბაზის მოდერნიზაციის მიმართ, მით უფრო ძლიერად განიცდის დესტრუქციული ფაქტორების ზემოქმედებას.

მესამე ამოცანა: ეკონომიკისა და ბიზნესის მოთხოვნების გათვალისწინებით საგანმანათლებლო პროგრამების პრაგმატიზაცია. აქ საუბარია არა პრიმიტივიზაციაზე, არამედ ოპტიმიზაციაზე - ან ბიზნესის საჭიროებების შესაბამისად რეალურ კონტექსტუალიზაციაზე. აქ მთავარია მსმენელამდე დავიყვანოთ თანამედროვე ეკონომიკური, ბიზნეს-ცოდნა და დამაჯერებლად ვაჩვენოთ მისი პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობა. ეს კი ქმნის პროფესორის მიმართ მოთხოვნას აწარმოოს გამოყენებითი კვლევა, გამოიყენოს სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდიკა.

ვფიქრობ, რომ ეს სამი გამოწვევა არის ის ორიენტირი, რომლის რეალიზებისკენ უნდა იყოს მიმართული ჩვენი ძალისხმევა.

ტურიზმის ფაკულტეტი

• ტურიზმის საბაკალავრო და საგანმანათლებლო პროგრამები უზრუნველყოფს დარგისთვის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას, რომლებსაც აქვთ სათანადო თეორიული ცოდნა, პრაქტიკული უნარ-ჩვევები და კომპეტენციები, რაც მათ საშუალებას აძლევს იყვნენ კონკურენტუნარიანი როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ტურისტული მომსახურების ბაზარზე, შესაბამისად ფაკულტეტს აქვს ტურიზმის სფეროში დამსაქმებელ კომპანიებთან მჭიდრო პარტნიორობა და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტებთან მუშაობს კოორდინირებულად;

• ტრენინგებს და მასტერკლასებს დარგის განვითარების ტენდენციების შესახებ სისტემატურად ატარებენ ტურიზმის დარგის უცხოელი ექსპერტები, ასევე მოწვეული არიან მოწინავე პროფესორები, პროფესიონალი პრაქტიკოსები და სპეციალისტები;

• პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები ხელმისაწვდომია და ისწავლება როგორც ქართულ ისე ინგლისურ ენაზე;

• სასწავლო პრაქტიკა გერმანიის ტურიზმის ინდუსტრიის ორგანიზაციებში - ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს სწავლის პერიოდში საშუალება აქვთ 3-თვიანი ანაზღაურებადი სასწავლო პრაქტიკა გაიარონ გერმანიაში. აღნიშნულ პრაქტიკაში მონაწილეობა და შესაბამისი გამოცდილება უკვე მიიღო 300-ზე მეტმა სტუდენტმა;

• წარმატებული პროექტი სამხრეთ-აღმოსავლეთ ნორვეგიის უნივერსიტეტთან - „მდგრადი ტურიზმი: სოფლად მეწარმეობა და კულტურული მემკვიდრეობა'', რომლის ფარგლებში ფაკულტეტის 30-მდე სტუდენტი გაემგზავრა ნორვეგიაში სასწავლებლად, კვლევებისა და საბაკალავრო ნაშრომების შესასრულებლად;

• პარტნიორობა და მობილობა ევროპის წამყვან საგანმანათლებლო დაწესებულებებთან (ავსტრია, საფრანგეთი, ესპანეთი, გერმანია, რუმინეთი, პოლონეთი);

• ფაკულტეტის ბაზაზე შექმნილია გეოსაინფორმაციო და ტურიზმის ტექნოლოგიების ცენტრი, რომლის გამოყენებაც უზრუნველყოფს სასწავლო კურსების გაძლიერებასა და განვითარებას.

• საერთაშორისო მასპინძლობის მენეჯმენტის სტაჟირების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები სტუმრობენ ბერლინისა და ჰამბურგის ყველაზე წარმატებულ სასტუმროებს;

• სტუდენტთა მონაწილეობა დაგეგმილ სასწავლო-პრაქტიკულ ტურებში, რომელიც საშუალებას აძლევს ახალგაზრდებს საექსკურსიო საქმეში პროფესიული უნარ-ჩვევები შეიძინონ;

• ფაკულტეტის ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტთა აკადემიური და კვლევითი უნარების განვითარებას;

• სტუდენტთა ჩართულობა ბიზნეს ფორუმებისა და ტურისტული გამოფენების ორგანიზებაში;

• მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების წახალისება სტიპენდიებით (ვახუშტი ბატონიშვილის და ექვთიმე თაყაიშვილის სახელობითი სტიპენდიები);

• საერთაშორისო საზაფხულო სკოლები (გერმანიის ევროპული ბიზნესის სკოლა, ლატვიის ტურიბას უნივერსიტეტი, პოლონეთის ჩეცინის უნივერსიტეტი), რომლის ფარგლებში ჩატარებული კულტურული ღონისძიებები ხელს უწობს სტუდენტთა ინტერნაციონალიზაციას.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი

● ბსუ საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხის ულამაზეს ადგილზეა განთავსებული და უძველესი უნივერსიტეტია. ჩვენი ფაკულტეტი კი იმ ოთხ ფაკულტეტს შორის არის, რომლის ბაზაზეც დაარსდა უნივერსიტეტი. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა

და ჯანდაცვის ფაკულტეტი ბსუ-ს ყველაზე დიდი ფაკულტეტია. ის 1400-მა სტუდენტმა აირჩია. მათ შორის 630 უცხოელია. ფაკულტეტზე მოქმედებს სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები. აქ იზრდებიან პროფესიონალები, რომლებსაც შეუძლიათ, დაიცვან ყველაზე ძვირფასი, რაც ადამიანს გააჩნია - სიცოცხლე. ფლობენ უამრავ საიდუმლოებას, რაც ბუნებას შეუქმნია, შეუძლიათ სასიცოცხლო პროცესების მართვა და სხვისი სიცოცხლის გადარჩენა.

● ფაკულტეტს გააჩნია განვითარებადი, კარგად აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა - კაბინეტ-ლაბორატორიები, სადაც სტუდენტები ეუფლებიან პროფესიულ უნარ-ჩვევებს. საბუნებისმეტყველო მიმართულების სტუდენტები გადიან საველე პრაქტიკებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ქალაქის ყველა კლინიკა ჩვენს ბაზას წარმოადგენს, სადაც ჯანდაცვის მიმართულების სტუდენტებს კურაციული მეცადინეობები უტარდებათ. ფაკულტეტს აქვს საკუთარი სტომატოლოგიური კლინიკა - „ბსუ დენტი'', საიმიტაციო აფთიაქი, სამედიცინო ცენტრი, იმუნოგენეტიკის, უჯრედული ბიოლოგიის და ფარმაკოგნოზიის ლაბორატორიები. მარიკულტურის სპეციალიზაციის განვითარებისა და საზღვაო ფერმერთა კვალიფიციური კადრების მომზადების ხელშეწყობის მიზნით წელს ფაკულტეტზე ორგანიზაცია „მწვანე სექტორის" დახმარებით გაიხსნა აქვაკულტურის ლაბორატორია. უკვე მესამე წელია, ტრადიციად იქცა მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების ერთთვიანი პრაქტიკა კლაიპედას საუნივერსიტეტო კლინიკაში. კურსდამთავ-რებულთა უმრავლესობა პროფილითაა დასაქმებული ან სწავლას აგრძელებს სწავლების შემდეგ საფეხურზე.

● თბილი გარემო, კარგი განწყობა, შეხვედრები და ღონისძიებები. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ვისაც სწავლა სურს, მეტად დატვირთული გრაფიკი ელის. წარმატებული სტუდენტი ახერხებს შეათანხმოს სწავლა და დასვენება.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები, ენდოკრინოლოგები და ზოგადი პრაქტიკოს ექიმი ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის მკურნალობასა და კვლევასთან დაკავშირებულ სიახლეებს გაეცნენ. კონფერენციზე მოხსენებები წარადგინა ორმა საერთაშორისო სპიკერმა: ვარშავის სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგანი მედიცინის და დიაბეტოლოგიის მიმართულების სრულმა პროფესორმა, ევროპის დიაბეტის შემსწავლელი ასოციაციის (EAშD) საბჭოს თავმჯდომარემ ლეშკეკიჩ უპრინიაკმა და უკრაინის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, პროფ. შუპიკის სახელობის სამედიცინო აკადემიის პოსტდიპლომური განათლების ხელმძღვანელმა, ენდოკრინოლოგიისა და მეტაბოლიზმის ინსტიტუტის დიაბეტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ბორის მანკოვსკიმ.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის აქვაკულტურის ლაბორატორიაში სტუდენტები ეცნობიან ზღვის ობიექტების კულტივირების, ხელოვნური მოშენების ტექნოლოგიურ და კვლევით ასპექტებს. ლაბორატორია მოეწყო ორგანიზაცია „მწვანე სექტორის" ინიციატივით პროექტის „საზღვაო ფერმერობა - გარემოსდაცვითი ინტერესებისათვის" ფარგლებში, რომლის ფინანსური მხარდამჭერია გაეროს განვითარების პროგრამისა და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მცირე გრანტების პროგრამა საქართველოში (UNDP/GEF SGP).

ტექნოლოგიური ფაკულტეტი

ტექნოლოგიური ფაკულტეტი საბაკალავრო დონეზე ახორციელებს შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებს: მშენებლობა (სრული სახელმწიფო დაფინანსებით), არქიტექტურა, ტელეკომუნიკაცია, აგრარული ტექნოლოგიები (სრული სახელმწიფო დაფინანსებით), რომელიც მოიცავს აგრონომიის, აგროეკოლოგიის, მცენარეთა დაცვისა და სატყეო საქმის მოდულებს. სხვა დანარჩენი ინფორმაცია შეუძლიათ იხილონ ბსუ-ს ვებგვერდზე.

საინჟინრო მიმართულებით ერთიან ეროვნულ გამოცდაზე აბიტურიენტმა საინჟინრო მიმართულებით უნდა ჩააბაროს გამოცდები ქართულ ენაში, უცხო ენასა და მათემატიკაში, ხოლო აგრარული ტექნოლოგიების მიმართულებით ვინც აბარებს, მათ მესამე საგნად მათემატიკის გარდა უფლება აქვს დამატებით აირჩიოს ისტორიაც.

ფაკულტეტზე შემუშავებული საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო აკრედიტირებული საგანმანათლებლო პროგრამები აკმაყოფილებს დასაქმების ბაზრის მზარდ მოთხოვნებს. მათ თავისებურებას განაპირობებს ძირითად სასწავლო კურსებთან ინტეგრირებული მართვის ავტომატიზირებული სისტემების ისეთი საინჟინრო კომპიუტერული პროგრამები, როგორიცაა: AutoCAD, 3D Studio Max, LIRA, MathCAD, MATLAB, CableProjectCAD, C++, ..., რომლებიც პასუხობენ ტექნოლოგიებისა და ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებს.

ბსუ-ს ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე უცხოური გამოცდილების საფუძველზეა სასწავლო პროცესი ორგანიზებული. ფაკულტეტს საინჟინრო და აგრარული ტექნოლოგიების მიმართულებით მჭიდრო ურთიერთობა აქვს ევროპის წამყვან უნივერსიტეტებთან, მათ შორის - ვალენსიის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტთან, სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან, სტოკჰოლმის სამეფო ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან, ფინეთის ტურკუს გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტთან, ბრანდენბურგის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან, ებერსვალდეს მდგრადი განვითარების უმაღლეს სასწავლებელთან, ტურინის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტთან და სხვ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი გაცვლითი პროგრამების საშუალებით ტექნოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტებს შეუძლიათ სწავლა გააგრძელონ საზღვარგარეთ, უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში. ERASMUS+ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, ვალენსიის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში მშენებლობისა და არქიტექტურის სპეციალობით გაცლით პროგრამებში მონაწილეობდნენ სხვადასხვა სტუდენტები - მაგ. დავით დემურია, ნანა ირემაძე, მარიამ გუგეშაშვილი, ფირუზ მეხეშიძე, სულხან ბოლქვაძე.

ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან თანამშრომლობის ფარგლებში ინოვაციური ლაბორატორია ფაბლაბი ფუნქციონირებს. FABLAB BSU ინოვაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში ბიზნესისა და აკადემიური სექტორის დაახლოებას უწყობს ხელს, ასევე, ამაღლებს სტუდენტების სამუშაო გამოცდილებას და მათი დასაქმების შანსს. სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია აღჭურვილია თანამედროვე აპარატებით. ფაბლაბში არის 3D პრინტერები, ლაზერული მჭრელი, პროგრამული SNC ჩარხი, სასერი პლოტერი და სხვა. ეს დაზგა-დანადგარები ფიზიკურ პირებსა და კომპანიებს პროდუქტის პროტოტიპირების, ტესტირებისა და მათი მცირე რაოდენობით წარმოების საშუალებას აძლევს.

ინოვაციების ლაბორატორიაში ნებისმიერ სტუდენტს საშუალება აქვს პრაქტიკულ და ბაზარზე ორიენტირებულ ცოდნის მიღებასთან ერთად გაეცნოს თანამედროვე ტექნოლოგიურ მიღწევებს. ფაბლაბში ისინი ბაზრის ლიდერი კომპანიების მიერ გამოყოფილ მენტორებთან ერთად არქიტექტურულ და სამშენებლო პროექტებზე მუშაობენ. გარდა ამისა, მათ შესაძლებლობა ეძლევათ შეისწავლონ და განავითარონ პროექტები ახალი ტექნოლოგიური მოწყობილობებისათვის.

ტექნოლოგიურ ფაკულტეტის ბაზაზე გახსნილია ინოვაციების ცენტრი Ერასმუს+"-ის საგრანტო პროექტის - „InnoCENS Project" (Enhacing Innovation Competencesand Entrepreneurial Skillsin Engineering Education - ინოვაციური კომპეტენციებისა და სამეწარმეო უნარების ამაღლება საინჟინრო განათლებაში) ფარგლებში, სადაც შეისწავლება: ინოვაციური იდეების ფორმირება; გუნდის ჩამოყალიბების პრინციპები; თანამედროვე სამეწარმეო მიდგომების შესწავლა; ინოვაციური კომპეტენციების განვითარების ხერხები; სამეწარმეო საქმიანობაში ინოვაციების დანერგვის საკითხები; ინოვაციური იდეებისა და პროექტების დაფინანსების წყაროების მოძიების საშუალებები; სტარტაპებისა და სპინოფების ჩამოყალიბება და სხვა აქტივობები.

ფაკულტეტზე არის ტელეკომუნიკაციისა და ელექტრონიკის თანამედროვე ლაბორატორია; აგრარული მიმართულებით თანამედროვე ქსოვილური ინვიტრო ლაბორატორია; თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი სათბური, რომელშიც ურთულესი ტექნოლოგიური პროცესები ხორციელდება.

ტექნოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტური ცხოვრება სიახლეებით დატვირთული, მიმზიდველი და საინტერესოა, ფაკულტეტზე არსებული სტუდენტური თვითმოქმედი კოლექტივები აქტიურად არიან ჩაბმული საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ტექნოლოგიური ფაკულტეტი მრავალი წამოწყებისა და ღონისძიების ინიციატორი და ავტორია.



მე ვარ გიორგი ბაციკაძე. 2016 წელს ჩავირიცხე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის სპეციალობაზე 70 %-იანი გრანტით.

ჩემთვის სტუდენტური ცხოვრება საინტერესოდ დაიწყო. ვთვლი, რომ აქტიური სტუდენტი ვარ იმდენად, რამდენადაც ჩართული ვარ საუნივერსიტეტო ცხოვრებაში სხვადასხვა მიმართულებით. 2017-2019 წლებში ვიყავი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმართველობის წევრი. გარდა ამისა, ვარ ამავე უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი და მოქმედი წევრი, რომელიც უკვე 2 წელია წარმატებით ფუნქციონირებს და თავისი წვლილი შეაქვს სტუდენტთა სამეცნიერო განვითარების საკითხში. ვმონაწილეობდი 2018 და 2019 წლების სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში, სადაც გავიმარჯვე და კონფერენციაზე ჩემ მიერ წარდგენილი სტატიები („1924 წლის აჯანყება საქართველოში“ და „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო პოლიტიკა“) დაიბეჭდა სამეცნიერო კრებულში. სისტემატურად ვმონაწილეობ სხვადასხვა სახის ვიქტორინაში. ჩართული ვარ სხვადასხვა სამეცნიერო პროექტში. აგრეთვე, მეორე კურსიდან უწყვეტად მაქვს სემესტრული სტიპენდია. 2019 წელს მოვიპოვე „პროფესორ დავით ხახუტაიშვილის“ სახელობითი სტიპენდია და სახელმწიფო სტიპენდია. ზემოთ აღნიშნული სამეცნიერო სტატიების გარდა, ვარ ერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის წიგნის ავტორი („კვირიკეწმინდა“).

აუცილებლად უნდა აღვნიშნო, ჩემი მოლოდინი პროფესიული განვითარების მხრივ გამართლდა. ეს უნივერსიტეტი და ისტორიის საგანმანათლებლო პროგრამა დიდ შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს დაიმკვიდრონ თავი და სწორად განავითარონ თავიანთი შესაძლებლობები. ცალკე აღნიშვნას საჭიროებს ის, რომ სტუდენტებს, რომლებიც აირჩევენ ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას, შესაძლებლობა ექნებათ უდიდესი პრაქტიკული გამოცდილება მიიღონ, ვინაიდან აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს საველე არქეოლოგიურ და ეთნოლოგიურ პრაქტიკას. პრაქტიკის ფარგლებში 2018 წელს 2 კვირის განმავლობაში ვმონაწილეობდით ექსპედიციაში გონიოს ციხეში, ხოლო 2019 წელს გავემგზავრეთ ტაო-კლარჯეთში, სადაც მოვინახულეთ უძველესი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები და გვქონდა შესაძლებლობა შევხვედროდით იქ მცხოვრებ ქართველებს, გავცნობოდით მათ ყოფა-ცხოვრებას და ჩვენი წვლილი შეგვეტანა ორი ქართული საზოგადოების კიდევ უფრო დაახლოების საქმეში. ეს უკანასკნელი პროგრამა, გარდა პროფესიული სარგებელისა, არის ეროვნული საქმე, რისთვისაც უნივერსიტეტი და პროგრამის ავტორები კიდევ ერთხელ იმსახურებენ დიდ მადლობას.

მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელებას ამავე უნივერსიტეტში ვაპირებ. ვფიქრობ, აქ ბევრი შესაძლებლობა არსებობს, რომლის რაციონალური გამოყენებით მიზნის მიღწევა ნებისმიერ ჩვენგანს შეუძლია. უნდა ვეცადოთ მაქსიმალურად გამოვიყენოთ ჩვენთვის განკუთვნილი შანსები, შევქმნათ რესურსი და გვახსოვდეს რომ თითოეულმა ჩვენი წვლილი უნდა შევიტანოთ ქვეყნის ჩამოყალიბებასა და წინსვლაში. მინდა წარმატება ვუსურვო თითოეულ აბიტურიენტს.

„მაქსიმალურად ვცდილობ მონაწილეობა მივიღო სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტში. უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში ჩემი ყველაზე დიდი წარმატება უკავშირდება Erasmus+ ჩრედიტ Mობილიტყ გაცვლით პროგრამას, რომლის დროსაც ერთი სემესტრის განმავლობაში ვსწავლობდი კრაკოვის ეკონომიკის უნივერსიტეტში, რის გამოც ძალიან მადლიერი ვარ ბსუ-ს. ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა ამ 5 თვის განმავლობაში. კრაკოვის ეკონომიკის უნივერსიტეტში მივიღე დიდი ცოდნა და გამოცდილება საკუთარ პროფესიასთან მიმართებაში. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც კრაკოვის უნივერსიტეტში დავინახე, იყო ის, რომ საგნები ძირითადად ორიენტირებულია პრაქტიკულ სამუშაოებზე, თეორიაზე ნაკლებად და ამ დროის განმავლობაში ბევრი პროექტი, პრეზენტაცია, კვლევა და რეპორტი გავაკეთე სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. შევიძინე უამრავი მეგობარი. იქ ერთ დიდ ოჯახად ჩამოვყალიბდით და მათთან ერთად გატარებული თითოეული დღე ჩემს გონებაში მხოლოდ დადებით ემოციებს უკავშირდება. დარწმუნებული ვარ, ურთიერთობები მთელი ცხოვრების განმავლობაში შემინარჩუნდება.

სახლში დაბრუნებულს მორიგი სიურპრიზი მელოდა. მივიღე მონაწილეობა ბათუმის ახალგაზრდული რეგიონული ცენტრის მიერ ორგანიზებულ საზაფხულო სკოლაში და ორი კვირის განმავლობაში ვსწავლობდი რიგის ტექნიკურ უნივერსიტეტში, ლატვიაში. 10 ქართველი გავემგზავრეთ რიგაში, დავიტვირთეთ ზღვა ემოციებითა და გამოცდილებებით. როგორც ვახსენე, ურთიერთობები ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, ამიტომ მათთან ძალიან კარგი ურთიერთობები მაქვს დღეს“.

ბექა სარჯველაძე,
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტი

მე ვარ ნინიკო კოსოლიძე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი. სწავლების პირველივე საფეხური საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა. პირველივე სემესტრიდან ვცდილობდი მაქსიმალურად მეტი მემუშავა საკუთარ თავთან. ასევე მინდა აღვნიშნო ევროპეისტიკის დეპარტამენტის ლექტორ-მასწავლებელთა წვლილი, რომელთა ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე ღირებული შენაძენი აღმოჩნდა. აქვე გეტყვით იმასაც, რომ უკვე მეორე წელია სტუდენტური გაერთიანება - „სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება - ბსუ“-ს აქტიური წევრი ვარ, რომლის უმთავრესი მიზანია ხელი შეუწყოს სტუდენტთა სამეცნიერო საქმიანობის პოპულარიზაციას, გაუწიოს ტექნიკური ორგანიზება საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებს. აღნიშნულ გაერთიანებას მონიტორინგს უწევს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია.

უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ღონისძიებები ზრდის სტუდენტთა ჩართულობას როგორც კულტურულ-საგანმანათლებლო, ისე სპორტულ აქტივობებში. სტუდენტური პროექტების კონკურსი ზემოთ აღნიშნულის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია. ორი თვის განმავლობაში მე და ჩემი მეგობარი, დავით ბალაძე ვმუშაობდით პროექტზე „თანამედროვე მასწავლებელი“, რომლის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ის სტუდენტები, რომელთა მხრიდანაც დიდია დაინტერესება მასწავლებლის პროფესიისადმი და აქვთ ამბიცია ასწავლონ ჩვენი ქვეყნის მომავალი საზოგადოების ღირსეულ წევრებს. პროექტმა შემფასებელი ჟიურის მოწონება დაიმსახურა და ჩვენც მოგვეცა შანსი წვლილი შეგვეტანა პროგრამის შემუშავებაში.

21-ე საუკუნისათვის დამახასიათებელმა ცხოვრების კომპლექსურობამ და მიმდინარე სოციალურმა ცვლილებებმა დიდი გავლენა იქონია ჩემზე, როგორც მომავალ მასწავლებელზე. ადგილი, სადაც ადამიანს შეუძლია მიიღოს ზოგადი განათლება იმისთვის, რომ ჩამოყალიბდეს პატრიოტ, საზოგადოებისთვის ჯანსაღ და მაღალზნეობრივ მოქალაქედ - არის სკოლა. პროექტი მიზნად ისახავს სწორედ ახალგაზრდა მომავალ მასწავლებელთა ცნობიერების ამაღლებას, საგნობრივი ცოდნის სისტემატიზაციას უახლესი მიღწევების კუთხით და ასევე მათი უნარ-ჩვევების, დამოკიდებულების და მიდგომების განახლებას, უახლესი კვლევების შედეგების, სწავლების ახალი მეთოდებისა და ახალი გარემოებების გათვალისწინებით.

შემიძლია დარწმუნებით ვთქვა, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის სივრცე, სადაც მცირედი მონდომებითაც კი ნებისმიერ სტუდენტს შეუძლია თავისი ძალების მაქსიმუმი გამოავლინოს და შექმნას ღირებული რამ, რაც სასარგებლო იქნება არა მხოლოდ მისთვის, არამედ მთლიანად საზოგადოებისთვის.

ედუ გარსია გერერო
(ალკალას უნივერსიტეტი)

ესპანელი სტუდენტი, რომელიც „ერაზმუს+“-ის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ბსუ - ს ტურიზმისა და ეკონომიკის მიმართულებებზე სწავლობდა.

„სიმართლე გითხრათ, სწავლა ბსუ-ში უფრო მომწონს, ვიდრე ესპანეთის უნივერსიტეტებში. სალექციო პროცესში უფრო ჩართული ხარ, შეგიძლია გაიგო მეტი, დასვა კითხვები და მიიღო პასუხები. ლექტორები და კურსელები ყოველთვის მზად არიან დახმარებისთვის“.

მეისან ელ აზუი
(მონპელიეს უნივერსიტეტი)

ფრანგი სტუდენტი, რომელმაც „ერაზმუს+“-ის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში სასწავლო პრაქტიკა ბსუ-შივ გაიარა.

„აქ ყოფნა ჩემთვის ცხოვრების ახალი სასიამოვნო ეტაპია, მომწონს ბათუმი, პატარა, მყუდრო ქალაქი, მომწონს ხალხიც და მასპინძელი უნივერსიტეტიც, რომელიც ახალი გამოცდილების მიღების საშუალებას მაძლევს“.

ვარ სოფელ წინსვლის საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე. ვფიქრობ, საკმაოდ აქტიური სასკოლო ცხოვრება მაქვს. ვარ სკოლის თვითმმართველობის თავმჯდომარე, ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის წევრი და ვმონაწილეობ მათ მიერ განხორციელებულ საგანმანათლებლო პროექტებში. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ვიყავი 12 ბანაკში, მათგან გამოვარჩევ მშვიდობის კორპუსის ბანაკებს, რომლებიც მიზნად ისახავს ახალგაზრდების განვითარებას. ასევე მინდა აღვნიშნო, რომ დღემდე არაერთ არასამთავრობო ორგანიზაციასთან მქონია ურთიერთობა, ყველაზე მნიშვნელოვანი კი ჩემთვის აღმოჩნდა „საორსა“, რადგან ის დამეხმარა მომავალი პროფესიის არჩევაში და ვიცი, რომ იქ მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას აუცილებლად გამოვიყენებ. ვფიქრობ, სწორედ ეს ყველაფერი დამეხმარა გავმხდარიყავი ოქროს მედალოსანი.

ადამიანები ყოველთვის ვდგავართ სხვადასხვა გამოწვევების წინაშე, რომელთა წარმატებით გადალახვის შემდეგ გადავდივართ ახალ, უფრო საინტერესო და მნიშვნელოვან ეტაპზე. ამ შემთხვევაში ჩემთვის უდიდესი გამოწვევაა გზა მოსწავლეობიდან სტუდენტობამდე. მოგეხსენებათ, ეს არის პერიოდი, რომელიც შემდგომში ჩვენს მთელ ვხოვრებას განსაზღვრავს.

ამ ყველაფრის ნაწილია ისეთი მნიშვნელივანი გადაყვეტილების მიღება, როგორიცაა უამრავ უნივერსიტეტს შორის საუკეთესოს შერჩევა. გასულ წლებში ხშირად ვეკითხებოდი საკუთარ თავს სწავლა რომელ უმაღლეს სასწავლებელში გამეგრძელებინა. ვფიქრობ, კითხვა ფორმალური იყო, რადგან თავიდანვე ვიცოდი, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი გახდება ჩემი წარმატებული მომავლის საფუძველი. ამას მისივე თითქმის საუკუნოვანი გამოცდილება და თაობები მაფიქრებინებს, რომელიც უნივერსიტეტს აღუზრდია. ასევე ჩემთვის მნიშვნელოვანია გაცვლითი პროგრამები, რომელსაც უნივერსიტი მთავაზობს. ეს ცოდნის რეალიზების საუკეთესო საშუალებაა, რაც გზას გამიხსნის წარმატებისკენ. აღსანიშნავია ისიც, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან მე და ჩემს ოჯახს მრავალწლიანი ისტორია გვაკავშირებს. სწორედ ამიტომ, ჩემთვის რთული არ ყოფილა არჩევანის გაკეთება უნივერსიტეტზე, რომელიც ნამდვილად საუკეთესოა ჩემს ქალაქში. მე აქ ვისწავლი, მეც აუცილებლად ვიქნები ბსუ-ელი.

თამუნა დოლიძე,
აბიტურიენტი

ვარ ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე.

2020 წელი ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და გარდამტეხია. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვობიდან აქტიურად ვირგებდი სხვადასხვა პროფესიას, საბოლოოდ არჩევანი ფსიქოლოგიაზე გავაკეთე. შესაბამისად, ბევრი ვიფიქრე რომელ უნივერსიტეტში ჩამებარებინა, თუმცა არჩევანის გაკეთების დროც კარს მომადგა.. გადავხედე არაერთი უნივერსიტეტის საინფორმაციო გვერდს და საბოლოდ არჩევანი 85 წლის ისტორიის მქონე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტზე გავაკეთე. შემიძლია დავეუფლო სასურველ პროფესიას ჩემივე ქალაქიდან გაუსვლელად ძალიან კარგ გარემოში. ამ უმაღლესი სასწავლებლის ერთ-ერთი მთავარი მიზანი კონკურენტუნარიანი, ლიდერის თვისებების მქონე, პროფესიონალი ახალგაზრდების ჩამოყალიბებაა. ამ ყველაფერს ხელს უწყობს გაცვლითი პროგრამების არსებობა, რომელიც ახალგაზრდებს ევროპული განათლების მიღების საშუალებას აძლევს.

ჩემთვის, როგორც აქტიური მოსწავლისთვის, მნიშვნელოვანია საინტერესო სტუდენტური ცხოვრება. საბაზისო საფეხურის წარმატებით დასრულებისთვის, გადმომეცა კომპიუტერი. ამავდროულად ვარ ოქროს მედალოსანი. გარდა სასკოლო ცხოვრებისა, აქტიურად ვთანამშრომლობ არასამთავრობო ორგანიზაციასთან. ვატარებ ტრენინგებს, ვესწრები უცხოეთიდან სპეციალურად ჩამოყვანილი ტრენერების მასტერკლასებს. უკვე განვახორციელე ოთხი სხვადასხვა აქტივობა, რომლის ფარგლებშიც მოხალისეებთან ერთად დავასუფთავეთ სანაპირო ზოლი, მოვხატეთ ურნები, ბავშვთა დაცვის დღეს მოვაწყვეთ ბავშვებისთვის მხიარული სტარტები და გადავეცით საჩუქრები. ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, რატომაც ვირჩევ ბსუ-ს არის ის, რომ შესაძლებლობა მექნება პრაქტიკულად განვახორციელო ყველა ახალი იდეა, რომელიც ორიენტირებული იქნება ჩემი ქალაქისა და ბსუ-ს კეთილდღეობაზე.

ანანო დიასამიძე,
აბიტურიენტი

ვარ ახალსოფლის საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე.

ჩემი ცხოვრების ულამაზესი მოგონებები და ფერადი დღეები სწორედ ამ ადგილსა და სკოლას უკავშირდება, რომელმაც მაქცია ჩამოყალიბებულ, მონდომებულ და მიზანდასახულ პიროვნებად.

ასაკის მატებასთან ერთად ჩემს თვალში ერთადერთი რამ, რაც ინტერესს იწვევდა, ეს იყო სწავლა, რომლის მეშვეობითაც მეძლეოდა შესაძლებლობა გავცნობოდი უამრავ სიახლეს. სწორედ ამ მიზეზებმა იქონია გავლენა ჩემს მონდომებასა და აქტიურ სასკოლო თუ სკოლის გარეთ ჩატარებულ უამრავ ღონისძიებაში მონაწილეობაზე.

მიმაჩნია, რომ საკმაოდ აქტიური სასკოლო ცხოვრება მაქვს. გამოვარჩევ ინტელექტუალურ თამაშებსა და აქტიურ მოხალისეობრივ ღონისძიებებს. ასევე მსურს აღვნიშნო „წერილის წერის საერთაშორისო კონკურსი", რომელმაც მომცა დიდი სტიმული აქტიურად გამეგრძელებინა წერა. უდიდეს მნიშვნელობას იძენს ჩემში ინტელექტუალური თამაში "რა? სად? როდის?" და "ტვინების ბრძოლაში" მიღებული გამოცდილება და მიღწეული წარმატებები. სწორედ ამ აქტივობებმა მომცა საშუალება, გავმხდარიყავი უფრო მეტად მონდომებული, კომუნიკაბელური და რაც მთავარია გამიხსნა გზა, გამეცნო უამრავი საინტერესო ადამიანი.

რატომ ვირჩევ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს? - უპირველეს ყოვლისა, აღვნიშნავ იმ უდიდეს პატივისცემას, რომელიც ბავშვობიდან გამაჩნდა ამ ბუმბერაზი და გამორჩეული უნივერსიტეტის წინაშე, ყოველი მისი ხილვისას, ვაგებდი იმ «ოცნების ულამაზეს კოშკებს", რომელთანაც უკვე ძალიან ახლოს ვარ. სწორედ ეს დიდი ოცნებები გახდა მიზეზი, ავირჩიო ეს უნივერსიტეტი და ვიბრძოლო მიზნის მისაღწევად. მეორე მხრივ კი, მსმენია ბევრი საინტერესო ფაქტი, რომელიც ძირითადად გაცვლითი პროგრამების სიჯარბესა და პროფესიონალი პიროვნებების თავდაუზოგავ ღვაწლს მოიცავს. ვფიქრობ, რომ არ უნდა გავუშვათ ეს შანსი ხელიდან, რომელიც გვიკვალავს გზას უდიდესი წარმატებებისაკენ.

ჩემთვის უმთავრესი პრიორიტეტია ვიყო წარმატებული, განათლებული და შემდგარი პროფესიონალი ჩემ მიერ არჩეულ სფეროში. მჯერა, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი დამეხმარება ვაქციო ჩემი ოცნება რეალობად.

მილენა გულაბერიძე,
აბიტურიენტი

ვარ მეთორმეტეკლასელი, აბიტურიენტი. ჩემი სასკოლო თუ არასასკოლო ცხოვრება გამოირჩევა აქტიურობით. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, აქტიურად ვმონაწილეობდი ახალგაზრდობის

ცენტრის მიერ განხორციელებულ პროექტებში, მათ მიერ დაგეგმილ სპექტაკლებსა და ინტელექტუალური თამაშში „რა? სად? როდის''. ასევე ხშირად ვესწრებოდი საგნობრივ კლუბებს, რაც დამეხმარა ცოდნის გაღრმავებასა და მსოფლმხედველობის ამაღლებაში. მას შემდეგ, რაც გავაანალიზე, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ აუცილებელი იყო უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება, შემდგომი წარმატებისთვის დავიწყე ფიქრი - რომელ უმაღლეს სასწავლებელში გამეგრძელებინა სწავლა. აბიტურიენტობის პერიოდი საკმაოდ რთულია ყველასთვის, რადგან უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების წინაშე ვდგავართ. ვაანალიზებთ, რომ ეს ის გარდამტეხი პერიოდია ჩვენს ცხოვრებაში, როცა საკუთარი უზრუნველყოფილი მომავლის შესაქმნელად საძირკველი უნდა ჩავყაროთ. ამიტომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია სწორად შევარჩიოთ უნივერსიტეტი, სადაც სწავლას გავაგრძელებთ. - რატომ ბსუ? - აღნიშნული უნივერსიტეტი ადგილმდეობარეობით, ლექტორებითა და სწავლის ხარისხით უპირობო ლიდერია ჩემს ქალაქში. გარდა ამისა, მინდა აღვნიშნო გაცვლითი პროგრამები, რომლებსაც უნივერსიტეტი მთავაზობს, ეს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ჩემთვის. არ გამჭირვებია არჩევანის გაკეთება, რადგან შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი აკმაყოფილებს ყველა ჩემ მოთხოვნას და ვფიქრობ, წინ ბევრი სიახლე მელოდება, რაც პირადი ცხოვრების უკეთ წარმართვაში დამეხმარება.

ლევან წილოსანი,
აბიტურიენტი

რედაქტორი
იოსებ სანიკიძე

სპეციალისტი
ნესტან მამუჭაძე



გაზეთი დაიბეჭდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბაში